

# საპატრიარქოს სინოდის სხდომის ოქმი



საქართველოს საპატრიარქომ წმინდა სინოდის გუშინდელი სხდომის ოქმი გამოაქვეყნა, რომელშიც მოცემულია სინოდის განჩინება და რეკომენდაციები კორონავირუსთან დაკავშირებით:

*„წმინდა სინოდის სხდომა გახსნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II. მისადრძების შემდეგ, მისმა უწმინდესობამ ისაუბრა მსოფლიოში კორონავირუსის (COVID 19) პანდემიასთან დაკავშირებულ პრობლემაზე. მან ბრძანა, რომ ღმერთის გარეშე არაფერი ხდება, რომ შექმნილ სიტუაციაში ხერხეულდება მიიღო სათანადო ზომები, რითაც ვირუსურ ინფექციას სწრაფად გავრცელების საშუალება არ მიეცა; და დასძინა: ჩვენზე არის დიდი პასუხისმგებლობა, რათა ჩვენი მხრიდან მივიღოთ სწორი გადაწყვეტილებები; გვწამს, რომ სურღმინდის შეწევნით ეს მოხერხდება.*

## წმ. სინოდმა განაჩინა:

*დღევანდელი მსოფლიო მრავალი სირთურისა და გამოწვევის წინაშე დგას. ახარმა ვირუსმა ადამიანები მორიგი დიდი გამოცდის წინაშე დააყენა, რაც პასუხის გაცემას მოითხოვს. პირველ რიგში კი გვმართებს გავაცნობიეროთ ამ მოვლენის სურვიერი მიზეზები.*

*მთავარი მიზეზი კი ადამიანის ღვთისგან დაშორებაა.*

*განსაცდებები არ არის შემთხვევითი, არამედ ღმერთის დაშვებით მოვედინება ადამიანს, რათა უფრო მეტად შეიცნოს საკუთარი თავი, სინანულისა და ეკლესიური ცხოვრების საშუალებით აღმოფხვრას*

ცოდვები, რომელიც ანადგურებს პიროვნებას სურვიერად და ხორციერად. ჩვენ, ეკლესიის წევრები, არ ვუშინდებით და არ გავუბიძგართ განსაცდელს, არამედ ვიღებთ თავმდაბლობით და ვეძიებთ მისი დაძვვის გზებს. ასეთ დროს მორწმუნეები, განსაკუთრებით კი წმინდა და დიდი მარხვის პერიოდში, აძლიერებდნენ მარხვასა და როცვას.

შექმნიდი ვითარებიდან გამომდინარე, საზოგადოებაში გაჩნდა კითხვები, თუ რამდენად საფრთხის შემცვერი შეიძლება იყოს ტაძარში მორწმუნეთა სიმრავლე და ღვთისმსახურებაში მონაწილეობა.

ეკლესიის ყველა საიდუმლოება სური წმინდის მოქმედების სფეროა, სადაც აღესრულება ღვთაებრივი სასწაული, რომელიც განაღმრთობს და მარადიურ ცხოვრებასთან თანაზიარყოფს ადამიანს. ადგირი სურიწმინდის განსაკუთრებული მოქმედებისა არის ტაძარი.

ევქარისტია არის ქრისტიანური ცხოვრების მთავარი არსი; ევქარისტიური კავშირი გვაერთიანებს უფარ იესო ქრისტესთან და ერთმანეთთან; წმინდა ზიარება არის საკურნებერი სურისა და ხორცისა მათთვის, ვინც რწმენითა და საეკლესიო წესების დაცვით ეზიარება.

ამიტომაც, ეკლესიის წევრებისათვის ზიარების საიდუმლოების არსში დაეჭვება და მოქმედებით ამის გამოხატვა, – მაგარიტად, საზიარებერი საერთო კოვზზე უარის თქმა, როგორც ინფექციის გადამტან წყაროზე, – ყოვლად მიუღებერია.



ამ კრიტიკურ პერიოდში წმინდა სინოდი მიზანშეწონიერად მიიჩნევს შემდეგ რეკომენდაციებს:

1. ყველა ეკლესიასა და მონასტერში ღვთისმსახურება ჩატარდება მარხვის ტიპიკონისა და ეკლესიის წეს-განგების სრული დაცვით.

2. სასურველია, ყველა მოქმედ ტაძარში და მის გარეთ დამონტაჟდეს გახმოვანების საშუალებები, რათა მრევლია ღია სივრცეშიც შეძლოს საეკლესიო მსახურებაში მონაწილეობა.

3. ზიარების შემდგომ მცირე რაოდენობით დასაყოფებელი სასმელის (წყლიანი ღვინის) მიღება დასაშვებია სხვადასხვა ჭურჭლით.

4. რისკის ჯგუფში მყოფ ადამიანებს – ხანდაზმულებს, ინფექციური დაავადების სიმპტომებისა და დაქვეითებული იმუნიტეტის მქონე პირებს, ასევე თვითიზოლაციაში ან კარანტინში მყოფთ, ან ვირუსით დაავადებულებს, სურვილის შემთხვევაში სამღვდელოება ადგირზე მოემსახურება. ამ შემთხვევაში სასურდერო პირებს მიეცემათ დამატებითი რეკომენდაციები.

5. დასაფასებელია საქართველოს მთავრობის ყველა სტრუქტურის, განსაკუთრებით კი ჯანდაცვის მუშაკების, თანმიმდევრული ნაბიჯები, რომელიც გადაიდგა მაღალი პროფესიონალიზმით.

წმინდა სინოდი მორწმუნეებს მოუწოდებს, გაითვადისწინონ სახელმწიფოსა და ექიმების რეკომენდაციები და სიფრთხლით მოეკიდონ ერთმანეთის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. ეს არის მოყვასზე ბრუნვის გამოვლინება. ამით დავიცავთ ერთმანეთის ჯანმრთელობას და მოვერიდებით, გავხდეთ სხვათა დასნებოვნების მიზეზი.

არსებუდ სიტუაციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადამიანურ სიკეთეს და ურთიერთმხარდაჭერას. ეს იქნება ჩვენი რწმენისა და ღირსების მარხვენებელი.

6. ვიდრე ქვეყანაში რთული მდგომარეობაა, ყველამ წავიკითხოთ თითო თავი სახარებიდან, ყოველდღე ვთქვათ ღოცვები: „მამაო ჩვენი“, „ღვთისმშობელი ქალწული, გიხაროდენ“ და „მონყარებისა კარი განგვიღე“, რათა ერთობით შევავედროთ უფარს საქართველო და მთელი მსოფლიო.

7. საქართველოს ეკლესია მზად არის, გასწიოს სურდერი მბრუნველობა ოკუპირებუდ ტერიტორიებზე და საქართველოს ფარგლებს გარეთ

მცხოვრებ ჩვენს თანამემამურეებზე.

ასევე საქართველოს საპატრიარქოს სამედიცინო დაწესებულებები მზად არის, ითანამშრომლოს სახელმწიფოსთან, რათა არსებულ სიტუაციაში მიიღოს შესაბამისი პაციენტები.

არაერთი განსაცდელი გადავიტანეთ საუკუნეების მანძილზე: სტიქიური უბედურებები, ომები, სხვადასხვა სახის ეპიდემია.

ღრმად გვწამს, რომ ღვთის წყალობით და ყოვლაღწმინდა ღვთისმშობლის შეწევნით, ჩვენ ერთად, – ერი და ბერი, გადავიტანთ ამ განსაცდელსაც და ურთიერთსიყვარულით შევგვგებებით ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

„უფარი ნათერ ჩემდა და მაცხოვარ ჩემდა; ვისა მეშინოდის? უფარი შესავედერებერ არს ცხოვრებისა ჩემისა, ვისგან შევძრწუნდე?“ (ფსალ.26-1).

ღმერთმა დაროცოს საქართველო და მთელი მსოფლიო!“ – აღნიშნულია ოქმში.